ლი ხელოვნის გულში იმანენტურად ცოცხლობს დაუსრულე-
ბული სწრაფვა ეპიკური ბროტებისაკენ. იქ, სადაც იყო ღრ-
მა ღირბიში, იყო სახალხო პეროიკაც, სადაც ჩნდებოდა მძაფრი
დრამატიზმი. იქვე იხადებოდა ტრაგიკული განცდაც. პოეტური
მონუმენტუალბზის ეს თავანჯარა წყარო ქართველი ხალხის
სულიერი ცხოვრების სიღრმეებიდან მოედინება და ბუნებრი-
ვია, რომ სწორედ ამგვარი შემოქმედებაა უკვდავი. ასე დაბა-
და რუსთაველის პოემა და ბალადა ვფხვისა და მოყმისა, ასე
შეიქმნა სვეტიცხოველი და ბაგრატის ტაძარი, ჭკრის მონასტე-
რი და ხერთვისი. ეს არის ქართლის ცხოვრების გამორტე-
ფურცლები. ყოველი თაობა მასში გრძნობს თავისი ეროვნული

ბათუმის სახალმფიფო თიბარის ბასტროლები თიბლიში

აბაი ბიჭაძე
„წინდანი ჯოჯობელი“
სცენა სპექტაკლიდან



ენერჯის გამძლეებას, მასში ხედავს თავისი ცხოვრების, სიპარულსა და ბრძოლის გამოხატულებას.

ერის სულიერი შემოქმედების ამ სილიანის გამოხატულია „აბესალომ და ეთერი“.

„აბესალომისა და ეთერის“ ტრაგიკული ისტორია იტაცებდა შოთა აღსაბამესაც. იგი დიდხანს უტრიალებდა ოპერას, დიდხანს ემზადებოდა ფალაშვილთან შესახვედრად. მან გულდასმით შეისწავლა ყველაფერი, რაც ქართულ ლეგენდას უკავშირდებოდა ან მის ასოციაციას იწვევდა. მან კარგად იცოდა „აბესალომ და ეთერი“ ტრაგიკული სიყვარულის მძაფრი პარალელები. იცოდა, რომ მას ხან გლინას „ერუსლან და ლიუდმილას“ აღბრუნებდა, ხან ვაგნერის „ტრისტან და იზოლდას“ ან „რომეო და ჯულიეტას“, „აბესალომში“ ხედავდნენ ფართო ეპიკურ მონამებს, როგორც ფუნდამენტს ტრაგიკული კოლიზის გასაშლელად. იგი გრძნობდა, რომ მონუმენტური მთლიანობა და პარონიულობა ქართული მუსიკალური აზროვნებისა ახალი ხარისხით, ახალი მასშტაბებით უნდა გამოეღიწებულიყო საოპერო დადგმაში.

აღსაბამის სპექტაკლში იყო ღრმა ლირიზმი და ფაქიზი ინტიმური განცდა სიყვარულისა, რომელიც განსაკუთრებით დრამატულად ჟღერდა ოპერის ეპიკურ გადაწყვეტაში. ამ ოპერის შესახებ აღსაბამე „ლენინგრადსკაია პრადლაში“ 1938 წელს წერდა: „აბესალომ და ეთერი“ დიდი ეთერი ნაწარმოებია, მასში მოქცეულია არა მარტო ხალხური სიუჟეტი, არამედ მისი კოლორიტი, მისი თავისებურება. ეს არის დიდი ძეგლი ქართული ხალხის მღელვარე შემოქმედებისა“.

სპექტაკლს დიდი წარმატება ხედა მოსკოვში დეკაბრე 1937 წელს. ა. წუწუნავის მიერ დადგმულ „დაისთან“ ერთად აღსაბამის წარმოდგენა აღიარებული იქნა, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა საბჭოთა ხალხის მუსიკალურ ცხოვრებაში. კრიტიკოსი ი. ალტმანი საოპერო სპექტაკლში „აბესალომის“ და „დაისის“ განხილვის საფუძველზე იძლეოდა მეტად საინტერესო დასკვნას: „ლირიკა, ეპიურობა, პერიოკა ქართულ დრამატულ და საოპერო თეატრში მიზანწარაფული, რეკლუციური რომანტიკის ელემერს იძენს, რომლის წინაშე ფართო პორიზონტები იშლება. ქართველ მსახიობთა თამაშის სიმამარე. მათ მიერ დრამატული კოლიზების გახსნა და კონფლიქტების გაღმოცემა განსაკუთრებულ სახასიათო მოძრაობებით, ექსტო, სიტყვების მოწყვეტილ-მკვეთი ხან კი აღზევებული პათეტური წარმოთქმით ქმნის იმ კონტრასტულობას, რომელიც ღრამის — ხელევენებისა და პოეზიის გვირგვინის სტიქიას შეადგენს და ასევე: ლირიკულს ეპიკურთან და პერიოკულთან, სუბტილურის საზოგადოებრივთან შერწყმა ახასიათებს აგრეთვე სიმღერებსა და ცეკვებს“ (გახ. „ოზესტა“ 1937 წ. № 2).

აღსაბამის სპექტაკლში გულდი ჟღერდა, როგორც დიდი და მძლავრი ორლანო. სცენიდან ისმოდა ადამიანური სიხარულითა და ტკივილით აღსავსე პოეტური მგლოლი.

წარმოდგენის რეჟისორულ გადაწყვეტაში ხალხურ თქმულებას მოქმედილი ჰქონდა იმ ეპოქის ნიშნები, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავდა ქართულ ადრე-წესებს, მის სულს, მის ეთნოგრაფიასა და მატერიალური კულტურის თავისებურებებს. მაგრამ ეს ყველაფერი ისე უნდა გათქმულიყო, რომ სპექტაკლს არ ჰქონოდა არც ზუსტად განსაზღვრული ეპოქის პრეტენზია და არც „საერთო პლანში“ უნდა გათქმულიყო ეროვნული სტილი.


რეჟისორი ოპერის დადგმისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ მხარეს. ზოგადქართულისა და ინდივიდუალური ეპოქალური თავისებურებების შერწყმას უნდა მოეცა ფალაშვილის ოპერის სწორი სცენური გადაწყვეტა. აღსაბამე წერდა: „ოპერა „აბესალომ და ეთერი“ იდგება, როგორც ზღაპარი, რათა თავიდან აცილებული იქნას ყოველგვარი პრეტენზია რომელიმე განსაზღვრული ეპოქის ისტორიული სიმართლი

ასახვითა. მიუხედავად ამისა დადგმაში მიზნად არის დასახული ზღაპარი მოცემული იქნას ქართული სტილისა და წინაშე შეტყუების სახით. ამისათვის აღებულია მე-12—13 სსსრულში, რამდენიმე სპეციალური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული პერიოდი, რომელშიც განსაკუთრებული სიძლიერით არის მოცემული წმინდა ქართული ელემენტები“. ამას მოსდევს ოპერის დადგმის გეგმა. მეტად საინტერესოა აღსაბამის რეჟისორული ჩანაფიქრისა და ლიბრეტოს შედარება. მართალია, ჩანაფიქრიდან ზოგი რამ სცენაზე არ განხორციელბულა, მაგრამ იგი დრამატული თეატრის რეჟისორის აზროვნების თვალსაზრისითაც საყურადღებოა.

ლიბრეტოს პირველ სურათში აღნიშნულია: წყლის პირას მჯდარი ეთერი თმას ივარცხნის, გვერდით უწყვეა ლეინად-ელის მიერ გამოტანებული მატყლი, თითისტარი და ჰურის ნა-ტყლი. იგი დარაობს ფურს. სცენის უკან გუნდი სანადიროს მღერის („ავთანდილ გაღანადირა“), რომელიც ეთერის ყურადღებას მიიქცევს. სიმღერის მოსმენის შემდეგ ეთერი მატყლის რთვას დაიწყებს და მწუხარებით მღერის „დენინაცალი“ თვალში დასარის“ სიმღერაში მივიხედა. ასე იწყება ლიბრეტო. რეჟისორი მას უფრო საგნობრივსა და დრამატულს ხდის, ხაზს უსვამს, სოციალურ მომენტს.

ილია ზავაძის სახელობის





რეჟისორული ჩანაფიქრის მიხედვით ეთერ ზღაპრული ტყის მიღმა ბროლის ციხე ხელდას. იგი მუდამ შურით უტყუროდა მას და ოცნებად ჰჭოხდა გადაქცეული ამ ციხეში მყოფ ადამიანთა ბრწყინვალე ცხოვრება, რომელიც მისთვის მუდამ ილუზიები იყო აღსავსე. ეს ის განცდაა, ის წინაპირობაა, რომელიც ეთერის სცენაზე შემოსვლის დროს თან უნდა შემოყვას. როგორც მისი პიოტრადიის ნაწილი, როგორც მისი ცხოვრების იდეალი. სცენაზე შემოდის ეთერი და მას სწორედ იმ ბროლის ციხის მხრიდან ესმის სანადირო სიმღერა. მის ოცნებაში კვლავ იღვიძებს იმ ადამიანთა ცხოვრების ილუზიება. ეს კონტრასტული მომენტი უფრო ამწვავებს მის სულიერ ცხოვრებას, უფრო დაძაბულს და დრამატულს ხდის მის არიას „ღედინაცვალი...“

და როცა მწუხარებისაგან მოღლილს ჩაეძინება, ჩვენ გვჩვენება, რომ მას უსათუოდ ილუზილი სამყარო ეგმანება!..

არც აბესალომი უნდა იყოს სავსებით ბედნიერი. მის მეფურ ცხოვრებას, მის სიღაღღეს რაღაც შინაგანი წუხილიც ახლავს. ეს წუხილი კელისების მიღმა დაიბადა, იგი შესაძლოა გაუცნობიერებელიც არის, მაგრამ აბესალომი გრძობს, რომ მის სულს აკლიო სილღუ და თავისუფლება, აკლიო ბედნიერების ის განცდა, როგორიც მურმანსა აქვს ეთერის შეხვედრამდე.

როცა აბესალომი მონადირეებთან ერთად შემოდის სცენაზე, ჩვენ უნდა გვეჩვენოს ფარული შინაგანი წუხილი. იმედოვნებს მძინარე ეთერს და ჰბუბუკო მეფე იგრძნობს, რომ რაღაც დიდი სინათლე ჩაღდა მის სულში. იპოვას ის, რასაც ეძებდა. დამყარდა ჰარმონიული მითიანობა მის მდგომარეობასა და სულიერ განწყობას შორის. სამაგიეროდ ეს პარმონია დარღვეა მურმანთან. თითქოს მათ როლები შეცვალეს. მურმანში აღზევდა შური, მოუსვენრობამ შეიპყრო იგი.

სცენა კი მთავრდება აბესალომისა და ეთერის დუეტით. ეთერს არ სჯერა კარსმოდგარი ბედნიერებისა. აღლევებული გაიქცევა, მას თან გაჰყვება აბესალომი.


რეჟისორი ამ სცენაში სავსებით უარყოფს დედინაცვლის სტრასის და რეჩიტატივს, რადგან იგი „აგრძელებს მოქმედებას და ფაბულის ლოკიურ განვითარებას ხელს უშლის“, ამ მომენტის ამოღებას რეჟისორი იმიტაც ხსნის, რომ „ეთერის ობოლბა და უმწეო მდგომარეობა საკმაოდ ნათლადაა მოცემული თავიდანვე. ამიტომ ეთერის დუეტური მდგომარეობის ხელახალი ხაზგასმას სრულიად ზედმეტად უნდა ჩაითვალოს“.


ამრიგად აღსაბამემ გააერთიანა პირველი და მეორე სურათი. „პირველი მოქმედება წაეა მთლიანი სახით“, — წერს იგი — ამასთან დაკავშირებით წინა ეპიზოდში აბესალომის ვასკლის

ბათუმის სახელმწიფო თეატრის ბასტროლები თხილსში



სტანან ცვანიტი
„სახლი ზღვის პირას“ სცენები სპეტაკოდან





შემდეგ ორკეტრი უკრავს შესავალს მეორე სურათის ფინალი-
დამ და მარტო დარჩენილი მურმანი შესარულებს არაის აჰმო-
მავალსა მზესა.

არის ბოლოს შემოვარდებიან მურმანის ძმები. მურმანი
გონებას მოჰყვება და ფიქრებს და დაქაღნების შემდეგ ძმებთან
ერთად გადის სცენიდან.

ამგვარი კომპოზიციური გადაჯგუფება და სურათის სცენუ-
რალ უფრო მოქმედსა და ლაინერის ხდილს უკრავს.

მეორე მოქმედებაში განსაკუთრებით იგრძნობოდა რეჟისო-
რის ღრმა კოდნა ქართული რიტუალებისა. დამატებითი ღიღ
ყურადღებამ აქცედა მოქმედების რიტმს და გემოთა პლასტიკ-
ურ გამოსახულებას. რეჟისორული გეგმის მიხედვით აქ გა-
მორჩეული ადგლი უნდა დასთმობოდა ცეკვებს. ჩაფიქრებულ
იყო გადმოუტანა ცეკვა „ლატავარდან“. კერძოდ „მე-3 თათ-
რული ცეკვა, რომელიც ასახავს ვამბაჯების რაგვას და
ფიგურალურ მოძრაობას სწრაფ ტემპით. მეორე ცეკვა —
მირზაია, რომელსაც შესარულებენ სპასისეი ქალები წელი
ტკბობით. მესამე ცეკვა — ფინალი, ქართული ქალაქის, რთაც
დასრულებდა მოქმედებას. ამ კონტრასტებში უნდა მოქმედე-
ლიყო დიდი ადამიანური სიხარული. სცენის სასეიში გამოჩე-
ნა ღრმა უფერებრა იქნებოდა იმ ღრმა დრამატიზმისა, რომელიც
იმოქმედონ სურათებში იწყებდა და შემდეგ ტრაგიკულ კოლორი-
ში მოაგრებდა, ყოველი მონაკვეთი ცეკვისა წარმოადგენდა
დასრულებულ ქორეოგრაფიულ მოქმედებას.

ეს ჩანაფიქრი უფრო აღრე ჰქონდა განხორციელებული ალ.
წუწუნავს. მან „ლატავარდან“ გამოიყენა სცენა, მაგრამ არა
ის, რასაც აღსაბამე ფიქრობდა.

მესამე აქტი კი ნამდვილად ტრაგედიაა. აქ როგორც სახალხო
გლოვია, ისეა მოცემული აბესალომის სულიერი ტანჯვა. გმირის
დიდ უმულოებას, პირველქმნილ სიწმინდეს და პოეტურ სიყვარ-
ულს ბედისწერასავით თავს დაატყდა ეთერის ავადმყოფობა.
სულამდე შეძრული აბესალომი ნესტანის დაჯავჯები გახლე-
ბულ ტარედის პავსს. ღობრეტობა ირრადღე ფრთხით არის
მთრწმუნებული, რომ ეს სცენა წარმოადგენს აბესალომის პა-
ლატს. დრამაში სადაცა მორთული. აბესალომი კი ტატტზე
ზის მწუხარა“. რეჟისორი კი უფრო აგრკობდა და ანალიზებებს
მთელ სიტუაციას. იგი წერს: „დადარდინებული აბესალომი
სასახლის მიდამებში დადიოდა, მაგრამ ნუგეში ვერსად პოვია.
იგი შემოიღის სადარბაზო თოახში, აცვია ღამის საწინაო ტანი-
სამოსი. ზემოთ წამოსხმული აქვს წამოსახამბი, რომელიც
ნახევრად იატაკზე ეფინება. იწყებს თავის არაის. შუა არიაში
მივია ფარდასთან, გასწევს მას და შეხედავს ეთერს. მერე ფარ-
დას დახედავს, სასოწარკვეთით მოზრუნვდება და აგრძელებს
არაის „ძვირისკანი ეთერ, დაჯარგე“. ფართულად მივია ეთერის
ტატტთან. იქვე ჩამოქვდება პატარა საჯარუ და ფრთხილად შე-
ეგებება ეთერის ხელმანდილს. აქ მღერის არაის ბოლო ნაწილს
„თავო ბედწინო, ვაი, ვაი“ და მეკრდით მიწვევა ტატტზე“.

ამ დრამატულ სიტუაციას, აბესალომის განმარტობულ
დრტიკულ მთელ სახალხო ხასიათი ეძლევა. მოქმედებაში იქ-
რება ქორი. ისმის მამაკაცთა და ქალთა გუნდის ხმები და მიე-
ვლი სცენა რაღაც სახალხო მისტერიას ემსგავსება.

აღსაბამე წერს: „გუნდები წელი ტულადღებთ მოდის აღო-
რნებულთ და მღერის „რა ღლე დაკვიდება, რას მოქმედსარით“.
ამ დროს იხსნება საწოლის ფარდები და იქიდან ქალთა გუნდი
სიმღერით შეუერთდება მამაკაცთა გუნდს. ქალთა ხმის გაო-
რნებისა აბესალომი წამოვარდება, გაექანება მღერისსავეენ,
მოზრუნდება ისე, შეხედავს ხალხს მწუხარებდა და მღერის
„მომწოდებ, ეს რა შემეშობვა“. ამას მოსდევს აბესალომის
ღრმა შინაგანი კილილი — ვაგუჟის თუ არა ეთერი. გუნდი
სთხოვს, რომ განათავისუფლის მინდვრის ყვაილივით მშვე-
ნიერი, მაგრამ აწ დაშქნარი ეთერი.

„ვის გინდათ ქალი ეთერი“ — წამიერ დემილი ისმის აბე-
სალომის ხმა. ეს ხმა სძრავს მთელ დარბაზს და ისმის მთა-
ბეჭედლებმა იქმნება თითქოს დამთავრდა აბესალომის ტრაგიკ-
ული გათრება. ჩაღვა ქაირზხალი, გადამყდა ეთერის განთავი-
სულებმა.

იგი მიჰყავს მურმანს. მიჰყავთ ეთერი და ისმის სიმღერა.
სიმღერის ფონზე იშლება აბესალომის სულიერი დრამა.

„აბესალომი კიდევ ერთხელ სურს შეუერთდეს ეთერს, მას
აიკვებს ხალხის გავწილი ხელები, ეთერს კი თითქოს შვევ-
ში ჩაქმული ქალები ავაცემენ. აბესალომი ადის ტატტზე და
იქიდან ხელმედახევილი შესუკერის მიმავალ ვერსს“.

ამით თითქოს უკვე გაიხსნა ნაწარმოების კანონი. მუსიკამაც
კულმინაციურ წერტილს მიიღწია თავისი სიმღერით.

მაგრამ მოვლენები კვლავ დაძაბულად ეთავრდება. უნდა
დაიამხრება მურმანის ბედნიერება, ერთხელ კიდევ უნდა შეხე-
ნდეს აბესალომი და ეთერი. ეს იქნება საბედისწერი შეხვედრა,
მაგრამ აუცილებელი. ვერ კიდევ არის სიყვარულით გახლეჩა,
ჯერ ისევ ეთერის ახალგაზრდობის გული შეხვედრის მოსე-
ლინობს. ამის დადებუნდა პირვანდელი მშვენიერება, აბესა-
ლომს პირვანდელი სიყვარული. სათქმელი კვლავ ბეგია. რე-
ჟისორი არ ანულებს მოვლენების განვითარებას, იგი სულ
უფრო და უფრო კუმშავს მას.

მეოთხე მოქმედების შესახებ წერს: „სამი მოქმედების გან-
მავლობაში პერსპექტივაში მოცემული იყო ბროლის ციხე,
როგორც საბედისწერი ნიშანი მთელი სიუჟეტის განვითარე-
ბისა, მეოთხე მოქმედებაში ეს საბედისწერა ციხე მთელი თა-
ვის იღუმელებით, ბრწყინვალეობითა და სიმღერით წარმოს-
დგება მაყურებლის წინაშე. ამ ფონზე გაიშლება მოვლენი მოქ-
მედების და საბითოდ მთელი სიუჟეტის კანონი, როგორც სიყ-
ვარულის ტრაგედია“.

ახლა უფრო განავსება თუ რატომ იყო, რომ აღსაბამე თა-
ვისი საღადგლო გეგმის შესავალზე ხაზს უსვამდა ბროლის
ციხეს და ეთერის იცნებას ამ ციხის იღუმელ ცხოვრებაში.
ეთერი თავისი სიღამაზით მისწვდა ბროლის ციხეს. ზიზია
მის ბრწყინვალეობას, მაგრამ იყო კი აქ უფრო ბედნიერი, კიდრე
თავისი პატარატყუბერი ცხოვრების დროს მის მშვენიერ-
ებაში. მშვენიერება იქნებ მინდვრის ყვაილის მშვენიერებას ჰგავდა,
რომელსაც ტილი ევლი უფრო შეწის. კიდრე სასახლის კედ-
ლებზე? სად არის ნამდვილი ბედნიერება? იქნებ სწორად ბრო-
ლის ციხის იღუმელი ცხოვრების ხილვის სურვილი უფრო
დიდი ბედნიერება, იყო, კიდრე მისი აბღნა?

ამგვარი კითხვები იბადება ხოლმე, როცა ბროლის ციხეზე
ხედავთ ეთერს. კითხვებს პასუხიც მოეძებნება, მაგრამ მთე-
ლი ეს კითხვა-პასუხი მაინც მეორე პლანია აბესალომისა და
ეთერის ცხოვრებელი სიყვარულთან შედარებით. ამიტომ ბუნე-
რივია, როცა აღსაბამე ციხეობს რაც შეიძლება მეტად შე-
კვეთს გატრტიული სიუჟეტური თუ თემატური შენაკადები.

გეგმას კითხვობით: „ბროლის ციხე, განთიარობა. ჩაფიქ-
რებულ ეთერი გამოიღის აივანზე და მღერის „ღრამდამილი, მა-
მამთილი“. სასურველია შემოცლებული იქნას აღმოსა მუსეკა-
ლური პაუზები, სასურველია არაის შემეცირებაც. არაის შეს-
რულების დროს ის იგონებს აბესალომის სიყვარულის ამავებს
და დაღვიწერი მიყვარდნობა ციხის ბუქს. ამოვრის ღღამი-
ელი მურმანის დებით და უმღერაან „ქალია ქვეყნის თვალისა“.
ეს სიმღერა ნახევრად შემოცლებული უნდა იქნას. ამ სიმღერის
დამთავრებისას ისმის საყვირის ხმა, რომელიც მომასწავე-
ბელია მეფის მოახლოების, ყველანი მამონათვე შევლენ ციხე-
ში, ციხის აბესალომი იყვებდა და სცენა ცარილებდა. შე-
მოიღის აბესალომი თავისი აპლით.

აბესალომ და ეთერის დეტტი და რეჩიტატივი გამოტოვ-
ებულია შემდეგი მისაზრებით: ერთი, რომ მეოთხე მოქმედება

ძალიან გრძელა. ამას გარდა აბესალომისა და მურმანის დუეტის (ე. ი. „მურმან-მურმან შენსა შუასა“ და ა. შ. — ვ. კ.) შინაარსიდან ლოკურად გამოიღინარებოდა აზრი, რომ აბესალომი არ უნახავს ეთერი. ამასთანავე ეთერს არ შეეძლო შექმნილი მდგომარეობის გამო შეხედულება აბესალომს. აბრევივით მოთხრობა მოითხოვს დაბოლოს სწრაფ განვითარებას და ეს ადვილი (ე. ი. აბესალომი მოციქულებს რომ უგზავნის ეთერს შემხვილი — ვ. კ.) ანელცის მოქმედების დინამიკით. ამიტომ აბესალომი შემოსილთანავე ავალებს სახლ-უხუცესს მურმანის გამოძახებას“.

როგორც ცხადვით, რეჟისორი მკაცრად იცავს მოქმედების ლოკუსს, განსაუთრებულ ყურადღებას აქცევს დრამატულ მოქმედებას.

... მთავრდება სპექტაკლი. კვდება აბესალომი და ავდება ეთერიც. ისმის გლოვის ხმა. ლობბერო მიანიშნებს, რომ „ყველა იმის მუხს იყრია“ ცხედრის წინაშე. რეჟისორი კი აზუსტებს ყოველ დეტალს, ყოველ ნიუანსს და მეგობრობამტულ მიზანსწინაში აქცევს მკვდრებსაც და ცოცხლებსაც. გუნდის გალობაზე სრულდება გლოვის წესი. „მიცვალებულს გადააღარებენ ქსოვილებს. მამაკაცებს მოიხიდან ქულებს, მუხლს მოიარტენ და შუბებს დახრიან მიწაზე. სახლუხუცესი გატეხს კერბოს და დაიჩქება ცხედრის წინაშე. მამაკაცი გაიხიანად ვულის შესკარავს გლოვის ნიშანს, ერთი შედარ-თაგანი გადატეხავს ხმას და დაიჩქება ცხედრათა წინაშე. დაჩრდილი, ვისაც კი ხმლები აქვთ, ამოიღებენ და დახრიან ძარს. ქალები მოხსნიან მანდილებს და თიხ-ვაშლიანი მიწაზე დაქ-ლებიან, ისინი აღიან ციხის აივანზე და სცენის მაღლობიდან მანდილებს დროში მსგავსად ჩამოუშვებენ. კარგი განთი-ვულია პროექტორით, სადაღ ღედა, ნათლა და შარისი ღვას. პროექტორის სხევი დაეცემა ციხის იმ ნაწილს, რომელიც თა-ვიდან შეად იყო გაფორმებული. ნელნელა ეშვება ფარდა“.

აქ დამთავრდა ტანჯვითა და ტკივილით აღსავსე სიცოცხ-ლე. ახალგაზრდებს აკ ელირსა და ქვეყნად ბედნიერება. ისინი მარადისობაში გადავიდნენ თავიანთი გაუბნებელი ცხოვრებით. ხალხში კი დარჩა ლეგენდა აბესალომ და ეთერის ტრაგი-კული სიყვარულისა.



ზოგჯერ როცა ოპერის დადგმებს უყურებთ, ისეთი შთა-ბეჭდილება გრძებათ, თითქმის მუსიკალურ თეატრში მგორ-ბობობთან მიწვევითა და ენსება რეჟისორის. ხშირად არ იგრძნობთ სცენის ორგანიზატორის ხელი, არ არის ნოვატორუ-ლი ძიება რიტმის, პლასტიკისა და კომპოზიციის სფეროში. სპექტაკლს არ აქვს რეჟისორული გადაწყვეტა.

ამიტომ ხშირად ყენაზე ბატონობს შტამი, შტამი, მე-ტრად გამაგლა და სტაბილური სცენური საშუალებები.

ოპერაში გარკვეულ მხატვრულ ხერხებს კანონის ძალაც კი აქვთ და ეს შამონი, როდესაც თეატრალური ხელოვნება სცენ-ური ფორმების ხერხებისა და საშუალებების მუდმივი მო-ნაცვლობის დაუსრულებელი პროცესია.

მსუყრეგლს უყვარს კარგი მომღერალი, მაგრამ უყვარს დიდი არტისტიკით. ზოგჯერ სწორად ეს არტისტიკა ავლავთ ჩვენს მომღერლებს.

ამ მომენტს განსაუთრებულ ყურადღებას აქცევენ ხოლმე დრამატული თეატრის რეჟისორები. სულ სხვაგვარად ძვრს მათი რეჟისორებიც. მეტი ადვილი ეძიებთ მსახიობის ოსტ-ატობას, მის ხელოვნებას.

აქ მოღვაწეობდა ალ. წუწუნავაც. დრამატულ თეატრში მუშაობის წლებში ბევრი რამ შემატა მის საოპერო რეჟისურას. სწორად ამ თვისებას მიაქცია ყურადღება გავითმა „პრადამ“. იგი წერდა: „ქართულ საოპერო სპექტაკლებში არ გხვდებით ცალ-ცალკე სოლისტს, გუნდს, ბალეტს. აქ ყველაფერი ერთ

მთლიანობაში, ერთ მხატვრულ სახეშია მოქცეული... მათ გარ-დაღებს ძველი საოპერო შაბლონი, მაღალი მუსიკალური კულტურა შეათავსეს დიდ დრამატულ ოსტატობასთან, როგორც არ ჰყავს ყველაფერი ეს ოპერის შესახებ ჩვეულებრივ წარ-მოდგენას“. („პრადამ“ 14. I. 37 წ.).

ეს საბერძნო სტილიზირებული ეკუთვნის შ. აღსაბაძესაც.

აღსაბაძე, არა მარტო ოპერის თეატრში, არამედ სტუდია-შიც განსაუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მოქმედებას, არ-ტისტიკას, სახლებს. ამ თეატრალური დიდი ინტერესი გამო-იწივა „აბესალომ და ეთერის“ დადგმა სტუდიის ძალეობით. მან სტუდიამ მოამზადა ვერლის „ტრაგიატა“, როსის ს.ე-ვირის დრამატიკა“ და სხვა სპექტაკლები, მაგრამ მისი გამოი-ჩეული იყო „აბესალომ და ეთერი“. აბესალომის როლი შესა-რულა ზ. ანჯაფრამე. გავით „ლიტერატურა და ხელოვნების“ აზრით, „ახალგაზრდებთან ბევრი უმუშაოა სტუდიის მთავარ რეჟისორს და ოპერის დადგმულს შ. აღსაბაძეს. მათი ახვლავ-ნებს ახალგაზრდა მსახიობების სცენური ქცევა, მათი ყოველი მოქმედება“. სპექტაკლს გამოიხატება გავითი „კომუნისტურ“ „სპექტაკლი — წერდა გავითი — დადგეს რეჟისორმა შ. აღსა-ბაძემ და პროფესორმა გ. კლამაძემ (სპექტაკლის დირიჟორი — ვ. კ.). დიდი მხატვრული გემოვნება, რთული პარტიტურის ზღ-დ-მიწეებით ცოდნა, მუსიკალური სახეების სინტერესოდ განხმა, დავიკრებულად, სათუთი დამოკრებულად ახალგაზრდა მსა-ხიობების დიდი გამოიჩინეს დადგმულმა ამ სინტერესოდ და სასარგებლო სპექტაკლის შექმნისას“. რეცენზენტი განსაუთ-რებით გამოხატავს, „ახალგაზრდა მომღერლები — განაგრძობს იქვე — არა მარტო მღერის, არამედ წარმა-ტლებით განსახიერებენ თავიანთი გმირებს, ცოცხლობენ სცე-ნაზე. პირველი რიგში ეს ითქმის სტუდენტ ზ. ანჯაფრამის შე-სახება, რომელიც აბესალომის პარტიტას ასრულებს. ახალგაზრდა მომღერალს აქვს სასაოპერო, რბილი ტემპის ტენორი, რთ-მელიც ერთხანად თავისუფლად და ლაღად ძვრს ყველა რე-ჯისტრში. ანჯაფრამე მღერის გატაცებით, მშვენიერად ვაღ-მოსიკვს თავისი გმირის სულეტი განსვლებს. ამას გარდა ნა-ჭიერი ახალგაზრდა მომღერალს კარგი აქტიორული მონაცემე-ბიც აქვს“.

აღსაბაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მომღერლის აქტი-ორულ მონაცემებს, გულმოდგინედ ზეწავდა ზრდიდა და ავითა-რებდა მსახიობში არტისტიკას. ამ შრომისთვის დიდი სკო-ლა იყო რუსთაველის თეატრში მუშაობის წლები.

აღსაბაძე წლებს მინდობდა ეწეოდა პედაგოგიურ მუშაო-ბას: 1928 წელს — რუსთაველის თეატრის დრამატულ სტუ-დიაში, 1939 — 43 წლებში — რუსთაველის სახ. თეატრალურ ინსტიტუტში, 1943 წლიდან გარდაცვალებამდე ვ. სარაჯიშვი-ლის სახელობის თბილისის კონსერვატორიაში.

აღსაბაძე დადგა რამსკი კორსაკოვის „მედის საცოდნე“, ი. გოკიელის „პატარა კახი“, ა. კერესელიძის „ბერძენი“, ბიზის „კარმენი“, გ. კლამაძის „ლალი ეკვხველი“ და სხვ. დიდი წარ-მატება ხელა ახერხაიანის მ. ფ. ახუნდოვის სახ. ოპერის თე-ატრში, შ.შ. სენგინის დადგმას. ეს იყო 1935 წელს აღსაბაძის ამ სპექტაკლის შესახებ გავით „მაქინის რობოზი“ წერდა: „ბრწყინვალე, ლამაზი სპექტაკალია „შ.შ. სენგინი“ აღსაბაძის დადგმით“.



შ. აღსაბაძეს ეკუთვნის რამდენიმე საყურადღებო სტატია, წიგნი „სამსახიობო ხელოვნების საკითხები“ და ლიტერატუ-რული ხასიათის ნაწარმოებები.

მას დაუხურობია უმეტესად დარჩა ბევრი ოცნება. მისი დე-ქრები მუდამ თავს დასტრიალებდა ქართულ თეატრს.

ამ სიყვარულში დასარულა თავისი ცხოვრების გზაც.



თეატრსა და სკოლასში

კუკური გოგიაშვილი

კაპიტონ ლაშხა მ ა შრომით, ჭეშმარიტი პედაგოგიური მიღწევით და აქტიური მოქმედებით ღირსეულად დამსახურა ხალხის სიყვარული, თავიდანვე სკოლა ცა თეატრ იყო მისი ოცნება, მისი მოხალისეობა. ჯერ კიდევ 1922 წელს უწიარა სასცენო ხელოვნებას სოფელ ხიდვიკარში. იდგებოდა პიესა „მატიონი და ყმა“. ჭაბუკმა კაპიტონმა მოხიბლა მაყურებელი.

ონის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კაპიტონი თბილისში ჩამოვიდა და მუშათა თეატრში მოეწყო მსახიობობა. აკ. კვანტალიანი, ალ. გომეზაურთან, გ. დარისპანაშვილთან, მ. დავითაშვილთან და სხვებთან ერთად მონაწილეობდა

ლიობდა იგი სპექტაკლებში: „გაყრა“, „მედიკამენტი“, „დღეობის გამყიდველი“ და სხვ.

1927 წელს ამბროლაურში აშენდა კლუბი და ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა დასი, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი კაპიტონი იყო. მისი ხელმძღვანელობით დაიდგა პიესები: გედევანიძე ლიხა „მსხვერპლი“, ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, დადიანის „გვეგებორო“, კალაძის № 21 ჯგუფი“, გ. შატერაშვილის „დუმნანი“ და სხვ.

1929 წელს ცოდნას მოეწვრებოდა ახალგაზრდა თბილისის უნივერსიტეტში იწყებს სწავლას, თან მსახიობად მუშაობს მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში.

ვისაც ქართული თეატრის ნოვატორის კ. მარჯანიშვილის რეპერტეივი უნახავს, ვერასოდეს დაივიწყებს კოტეს ცეცხლოვან ტემპერამენტს და მოულოაბრ თვალებს. თეატრით გატაცებული კაპიტონი კ. მარჯანიშვილის თეატრში გადადის სამუშაოდ და გულისხმიერად ისმენს კოტეს ყოველ ფრაზას, მის რჩევას-დარიებებს.

მარჯანიშვილის ხელოვნებით შთაგონებულმა გადაწყვიტა დაეარჩინა იყო ქართულ თეატრში და თავის შრომითურ მხარეში ემსახურა.

კ. მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ კაპიტონი კვლავ ამბროლაურში ბრუნდება და მასწავლებლობას იწყებს პედაგოგიურ ტემპი-

კუში, მაგრამ არც ერთი წუთით არ ივიწყებს საყვარელ სცენას. ონში მან განახორციელა პ. საშინიძის „სალტე“, გ. ბაბუაშვილის „მუხრანის ალბარაკინი“, მ. შიუკაშვილის „სული“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარ თუთაბერი“ და სხვ.

კაპიტონ ლაშხის, როგორც დამდგმელ და მსახიობს არაბრუნებულ გაუნახარება მაყურებელი. იგი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით დგამდა და ასრულებდა სხვადასხვა როლებს.


კ. ლაშხის მიერ დამდგმული „დამნაშავე“ (სპექტაკლში თვითონვე თამაშობდა წამყვან როლს) რაიონულმა გაზეთმა ასე შეაფასა: „დაიწყო სპექტაკლის დამდგმელი რეისონით კაპიტონ ლაშხით. ჩვენი სკოლის ვეტერანი ახალგაზრდა მსახიობი არ გამზობდა ბერძენი გაუნახარება თეატრის მოყვარულები საუხიბოდ შესრულებული სხვადასხვა ხასიათის როლებით. გაჩილი ბოროტმოქმედის, რეიდისისტ პატივით თეოსოფიის როლი უსათუოდ დამწიფების მის მიერ შექმნილი ტიპების გალერეას“.

ამბროლაურის სახალხო თეატრმა დიდი ხანია პოპულარობა მოიპოვა, რაშიც თავისი წვლილი მიუძღვის კ. ლაშხს. თეატრი ხშირად მათავს წარმოდგენებს თბილისში და ჩვენი დედაქალაქის მაყურებელთა გულწრფელ მოწონებას იმსახურებს.

სულ ასობას 60 წელს მიღწეული კაპიტონ ლაშხი ამბროლაურელმა სიყვარულითა და პატივისცემით გაიცალა პენსიაზე გასვლისას. ადგილობრივ გაზეთში ამ ფაქტთან დაკავშირებით ვკითხოვლობთ: „ამ ადამიანს ხანდაზმულობას ვერაინ შეატყობს, მის ვერც დინჯი ნაბიჯით მიხვალის ნახსებ და ვერც მოეწინის. მუდამ საზეიმო განწყობილებას, ყოველთვის ხალცი მიიჩნობს, უძღის მიმდინებოდა და ესაუბრებოდა უცრესებს. თანატოლებს თუ უმცროსებს, პატივისცემის ნიშნად ხელს ჩამოართვის, აუღროს სიტყვას რტყვის და კლავ სრფი ნაბიჯით გასწევს. ასეთად იცნობენ ამადარ პედაგოგსა და სკოლის მოღვაწეს, გულითად ეფობარსა და იზვიათ ადამიანს კაპიტონ ლაშხს. სცენა იყო მისი გატაცება და ალბათ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვერც შეეღვატა“.

ჩვენ ვგვარა, რომ კაპიტონ ლაშხი კვლავ მრავალჯერ გაახარებს მაყურებლებს.

პანსიონატი
„დინამო“
ბიუქინიაში



პერსონალიზებული (აქურული) სივრცეების გამოყენება ქართულ არქიტექტურაში

ნატალია გაგრილოვა

სამხრეთის თანამედროვე ნაგებობათა სახის ჩამოყალიბების ესთეტიკური პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული შვისხან დამცველი ნაჭერეთებიანი სიბრტყეების გამოყენებასთან.

სხვადასხვა ორნამენტული ნახატი შესრულებული პერფორირებული (აქურული) სიბრტყეები განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული სამხრეთულ არქიტექტურაში. მას იყენებენ კიბის უკრედში, აივნისა და ლოჯიისათვის, მცირე ზომის პავილიონებისათვის; ამჟღავნებენ ხის ლარტყებისაგან, აგრეთვე, რკინა-ბეტონის აქურული პანელებისაგან, ცალკეული კერამიკული ან ბეტონის ბლოკებისაგან.

აქურული კედლებისა და ტიხარების სხვადასხვა ორნამენტული ნახატი თავისებური მოცულობით ხასიათდება და სიბრტყის ზედაპირზე შუქ-ჩრდილის თამაშს ქმნის. ნახატის შექმნაში მონაწილეობს როგორც კონსტრუქცია, ასევე ნაჭერეთისაგან მიღებული სივრცის ფორმა.

სამხრეთის ქვეყნების შენობებისათვის

ამგარი აქურული კედლები აუცილებელია, რადგან ნაწილობრივ ატარებს სინათლეს, ამით განაპნევს შვის სხივებს და შვისხან დაცვის საუკეთესო საშუალებაა.

აქურული სიბრტყის ნახატი შენობის ორინტაციის მიხედვით უნდა შეირჩეს. შენობის ფასადზე სამხრეთის ორიენტაციით მიზანშეწონილია პორიზონტალური კონსტრუქციის წიბოების გამოყენება. ამგვარი კონსტრუქცია უკუაგდებს ღრმა ჩრდილს შუადღის შვისაგან. ხოლო რაც შეეხება შენობის დასავლეთის ან აღმოსავლეთის ორიენ-

4. „საბუთა ბელენება“, № 6. 1968.



ბლოკებისაგან, არამედ აეურული პანელუ-ბისგანაც.

საქართველოში აეურული პანელები, რომლებიც მთელი შენობის სიმაღლეზეა, აიგნებისა და ლოჯიების ცალკეულ კონსტრუქციებზე ფარავს. არქიტექტორებმა — ჯ. ანდლიერმა, ზ. კიკნაძემ და ა. მენთოშვილმა ბიჭვინთოში „დინამოს“ პანსიონატის დამაროქტების დროს ფსადის პლასტიკურიბის დიდ გამოხმასვევლობას მიაღწიეს. ორსართულიანი შენობის ტალანები ნაწილობრივ დაფარულია აბსტრაქტული გეომეტრიული ნახატით შესრულებული ვერტიკალური აეურული კვანძებით, რომლებით თავისუფალი კომპოზიციით სხვადასხვა ზომის მართკუთხედებისაგანა აგებულა. უთანაბროდ განაწილებულ ნაჭეუთებში გამავალი მზის სხივების ემოციურება და ძალა ერთობ დიდია. აეურული ცხურისაგან შექმნილი ჩრდილები ამლიერებინტერიერის დეკორატიულობას. შენობას განსაკუთრებულ სინატიფის აძლევს დეკორატიული მომენტების ზომიერი გამოყენება. აეურული პანელები ნაწილობრივ გვებდება ფსადის პლასტიკური გადაწყვეტისას, ლოჯიებისა და აივნების შესღობად, ტიპურ საცხოვრებელ სახლებზე, აგრეთვე ინდივიდუალური პროექტით შესრულებულ მტკვრის სანაპირო საცხოვრებელ სახლებზე (არქიტექტორები: ხარაშვილი, ყალაშვილი).


რუსთაველის პრისპექტზე, აერიფლოტის შენობაში არქიტექტორმა ჯ. თარხთიძემ აივნების შესაღობ კონსტრუქციებში გამოიყენა აეურული ფილები, რომელმაც შექმნა ფსადის ძირითადი პლასტიკური სახე.

სამი პორიზონტალური მოაჯირის ზოიი შედგენილია ანაკრეფი ფილებისაგან. თეთიფული ფილა წარმოადგენს სიბრტყეს, რომელზედაც ამოჭრილია ასიმეტრიულად განლაგებული სხვადასხვა ზომის მართკუთხედები. ამ ფილების განმეორებით იქმნება ნახატის ფორმა, რომელიც ექვემდებარება ორნამენტულ კომპოზიციას.

აეურული პანელების პროექტირების დროს ავტორმა ვერ მოძებნა შესაფერი შეფარდება სიბრტყისა და სიერვის შორის, რის გამოც მოაჯირები გამოვიდა მასიური და საჭირო ეფექტი ვერ შექმნა.

პერიფორირებული რკინა-ბეტონის კვანძების გარდა, რომელიც შენობის ძირითადი კვადებისა და ფანჯარებისაგან გარვეველად არის დაშორებული, საქართველოს მშენებლობის პრაქტიკაში იყენებენ ისეთ აეურულ კონსტრუქციას, რომელიც ძირითად მზიდვე ელემენტს წარმოადგენს.

ერონანეთისაგან მცირე მანძილით დაშორებული ვერტიკალური რკინა-ბეტონის წახნაიები, ტადრაკული წესით შეერთებული პორიზონტალური ჩამონაკრები, გამოიყენა არქ. ტულუშმა ბათუმის რესტორნის შენობისათვის. რელიეფის სიბრტყე, შექმ-



სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონის ლიბის ფანჯანები


ნილი წიბოების სისქით, წარმოადგენს პლასტიკურად გადაწყვეტილი ფსადის სახეს და მისიგან დაცვის კარგი საშუალებაა. ვერტიკალურად განლაგებული კონსტრუქციული ელემენტები ირიბი მზის სხივებისაგან დაცვას წარმოადგენს ამოსავლეთი და კარსავლეთი ორიენტაციის ფსადებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო პავილიონის მავალითზე კარგად ჩანს თუ როგორ უკუაგდება ჩრდილებს ვერტიკალური წიბოებისაგან შექმნილი მცირე რელიეფი კი და პავილიონს იცავს გადახურებისაგან. ეს ძალზე მნიშვნელოვანია სამხრეთ რაიონების შენობებისათვის, სადაც ტემპერატურის განდინობა ჩრდილი და მზენი 20°-ს აღწევს. შენობისათვის სამხრეთის ორიენტაციით სასურველია აეურული ნახატის სიბრტყის კომპოზიცი აგებულ იქნას პორიზონტალური მიმართულებით. ამგვარი ნახატის მავალითის, რომელიც ნაწილობრივ იცავს აივნებს გადახურებისაგან, წარმოადგენს წყნებით სანისიტროს მუშათა დასასვენებელი სახლის დეკორატიული პანელები. (არქ. მესხიფილი) ეს პანელები ქმნიან ფსადის სახის პლასტიკურად გადაწყვეტის ძირითად მხატვრულ მომენტს. პანელი შედგენილია პორიზონტალურად დაწოიბილი ბრტყელი და ტალღისებური რკინა-ბეტონის წახნაგების მონაცვლეობით. შენობისათვის სამხრეთის ორიენტაციით პორიზონტალურად დალაგებული წახნაგები შენობას მისიგან იცავენ, ზოგჯერ ამ წახნაგებს აწოიებენ დაჩრდილად, რაც ამლიერებს მზის სხივებისაგან დაცვის ეფექტს.


ამგვარად, ფსადის სახის პლასტიკურად გადაწყვეტისას, გარდა პანელებისა და ფარების მხატვრული კომპოზიციისა, პროპორციისა, მასშტაბისა და ა. შ. მხედველობაში უნდა მივიღოთ თუ რამდენად არის იგი მიზანშეწონილი.

მასსადავებ, მისიგან დაცვის მიზნით, შენობებისათვის სამხრეთის ორიენტაციით დომინირებულ ელემენტს წარმოადგენს პორიზონტალური წიბოები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთი ორიენტაციისა — ვერტიკალური მიმართულების ელემენტები.

განსაკუთრებით ეფექტურია პორიზონტალური და ვერტიკალური წიბოების შერწყმა. ამ შემთხვევაში შენობის ფსადი ორიენტაციით არ არის შესუღუღელი. ასეთ ტიპს გუთონის უჯრდოიანი მზისდამცველი ოლინსიბება. უჯრდოიან ანუ ბადისებურ მზის დამცველ საშუალებებს ხშირად ხმარობენ შენობებისათვის, რომლის ფსადები მთლიანადაა შენიღული. ეს ხერხი უკუაგდება ჩრდილს, აგრილებს შენობას და ფანჯატეს მზის პირდაპირ წაიოსულ სხივებს, ამასთან იცავს მინის გადახურებისაგან, არ ტმა უნდა, აეურული ზედაპირები უნდა დაეციოთ მინას გარკვეული მანძილით, რომ შეუშალოს სიბოის აუშოილა-



ვაის პარკის ტირის პავილიონი



ფილარმონის საზაფხულო თეატრი

ციას. რკინა-ბეტონის აერული ცხაური ამცირებს ქარის ინტენსიობას, რის გამოც ისინი შეიძლება რეკომენდებულ იქნას მშრალ ჰაირან რაიონებში.

აერული ცხაურით შენობულ გალერეა ქმნის მყუდროებას, იცავს მის ფუნქციურ საჭიროებას. ძალზე ეფექტურია მოაჯირი-

საგან შექმნილი ჩრდილები გალერეის ინტერიერებში. ამრიგად, გარდა ფუნქციური დანიშნულებისა, შემოღობავი პერფორირებული სიბრტყეები წარმოადგენენ დეკორატიულ მომენტს რეორგანოზაციის ფასადზე, ისე მის ინტერიერში.

შეიძლება დაპროექტებული იქნას სპე-

ციალური მოძრავი პანელები. მათი დამზადება შეიძლება სხვადასხვა მასალისაგან განსაკუთრებით ეფექტური იქნება პლასტიკის აერული პანელები, რომლებიც შემდგომში, ჰიბის განვითარებასთან დაკავშირებით, დიდ გამოყენებას მოკვებს საცხოვრებელ სახლებში. შეიძლება დაპროექტდეს პლასტიკის ასაწყობ-დასაშლელი აერული პანელები. ამრიგად, აერული პერფორირებული სიბრტყეები, რომელსაც უმოკლესად ხისაგან აკეთებდნენ, ავსტრალიაში გადმოიწერა თანამედროვე სამშენებლო მასალებში. ისინი არა მარტო ფუნქციურადაა აუცილებელი, არამედ შექმნილია ნიუანსებით მხატვრული თვალსაზრისითაც ამდიდრებს ფასადის პლასტიკას, ჰქმნის სამხრეთის შენობებისათვის დამახასიათებელ კოლორიტს.


ორნამენტული ნახატის კომპოზიციამ, რომელიც მიღებულია ინდუსტრიული ელემენტ-ბლოკის აწყობით, შეიძლება მიაღწიოს დიდ მრავალფეროვნებას.


ეს მიიღება სხვადასხვა კონფიგურაციის სამკუთხვანი, ოთხკუთხვანი, ექვსკუთხვანი ბლოკებისგან შემდგარი აერული კედლების აწყობით. შეიძლება მივიღოთ ახალი ორნამენტული კომპოზიციები, თუ შევცვალოთ ბლოკების განლაგების მეთოდი. კვადრატული ბლოკები მშენებლობის პრაქტიკაში ლაგდება თანმიმდევრებით, ნაკერების გადახმის წესით, შესაძლოა აერული გალერადეს კუთხოვანად. ანალოგიურად — მარკუბთა ბლოკები შეიძლება განლაგდეს ნაკესიებურად. შეიძლება დაპროექტდეს ინდუსტრიალური ბლოკი, რომელიც ელემენტის ისეთ ვარიანტს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც იქმნება მრავალფეროვანი ორიგინალური კომპოზიციები. სხვადასხვა კონფიგურაციის ბლოკების გამოყენება, დალაგების სხვადასხვა მეთოდი და ვარიანტული ბლოკები, რომელიც მრავალ ორნამენტულ კომპოზიციას ქმნის, ამდიდრებს არქიტექტორის მხატვრულ პალიტრას. ამასთან საშუალებას იძლევა მრავალგვარად გადაწყდეს ტიპური ფასადების პლასტიკური სახე, სადაც გამოიყენება აერული სიბრტყეები.

ორგანული ურთიერთდამოკიდებულება კონსტრუქციებსა და აერული სიბრტყეების დეკორს შორის, რომელიც პრაქტიკულად მიხაზუნებოდა, აძლიერებს ამ უკანასკნელის ესთეტიკურ მხარეს.

ორნამენტული კომპოზიციის პრინციპების საფუძველზე შექმნილი აერული სიბრტყეების მხატვრული სახე ავსტრალიის ქართული ორნამენტის აღორძინების შესაძლებლობას შენობის ფასადის პლასტიკურად გადაწყვეტისას, იმ მხატვრული პრინციპების განვითარებას, რითაც ასე მდიდარია ქართული არქიტექტურული მემკვიდრეობა.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან





თბილისის ქალაქი

ხანმოკლე დასახლებები

სოფლის მრავალფეროვნება

გივი ბერიძე

არქიტექტურის კანდიდატი

ს

ახალბო მუდრნობის მრავალრიცხოვან ამოცანებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება დასვენება. მისი სწორი ორგანიზაცია სოციალური პრობლემის უმთავრეს ამოცანას შეადგენს. მასიური დასვენების საითხები ქალაქმშენებლობაში ახალ დარგს ქმნის და მათი გადარწყვეტა ფრიალ აქტუალურია.

საჭიროა შეიქმნას პრობები დროული და კარგად ორგანიზებული დასვენებისათვის, იქნება ეს ყოველდღიური, ყოველკვირეული თუ ყოველწლიური.

ქალაქებში ეს ღონისძიება ტარდება კულტურისა და დასვენების პარკებში, ბაღებში და სკვერებში, შიდაკარბულურ გამწანებულ ტერიტორიებზე და სპორტულ მოედნებზე. ქალაქის ტურის დაწესებულებებში და ა. შ. მაგრამ ამასთან ერთად საჭირო ხდება ხანმოკლე დასასვენებელი ადგილების მოწყობა ქალაქგარეთ, სადაც თავისუფალ დროს მოსახლეობა შესძლებს დაისვენოს სუფთა ჰაერზე, ტყეებში და ტყე-პარკებში, სასტუმრო-პანსიონატებში, ტურისტულ ბაზებში, პლაჟებზე, სანაოსნო სადგურებზე და ა. შ. ასეთი დასვენება უმთავრესად 2 — 3 დღის არ აღემატება.

ქალაქგარე ხანმოკლე დასასვენებელი ადგილების ორგანიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგარეუბნო ზონის ე. ი. ქალაქის ახლომდებარე ტერიტორიის, რომელიც ყველაზე ხელსაყრელია ამ დანიშნულებისათვის.

საგარეუბნო ზონის ძირითადი დანიშნულებაა ქალაქის ობტიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა და ქალაქისა და მისი საგარეუბნო ტერიტორიების დაგეგმარებითი ღონისძიებების საერთო კომპლექსის დადგენა.

საკუშირო სახმშენის მიერ დამტკიცებულ ნორმებში აღნიშნულია, რომ ქალაქების გარშემო უნდა შეიქმნას საგარეუბნო ზონები, რაც საჭიროა ამ ქალაქების შემდგომი განვითარებისათვის, ხანმოკლე და ხანგრძლივი მასიური დასვენების ზონების ორგანიზაციისათვის, ქალაქების მიკროკლიმატის, საპაერო აუზის და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ქალაქების სამეურნეო მოთხოვნებთან დასაწყაყოფილებლად.

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ ქალაქი და მისი საგარეუბნო ზონა უნდა წარმოადგინდეს ერთ ორგანიზმს და ყველა ქალაქმშენებლობის ამოცანები უნდა გადარწყვედეს საერთო კომპლექსში.

საგარეუბნო ზონის დაგეგმარების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს ქალაქგარე ხანმოკლე მასიური დასვენების ზონების სწორი ორგანიზაცია. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, შესწავლილი იქნეს ზონის ბუნებრივი პირობები, დადგინდეს სათანადო რაიონები, რომლის სანიტარულ-ჰიგიენური და ლანდშაფტური თავისებურება მიზანშეწონილია დასვენების ზონების მოსაწყობად. ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი რაიონების შერჩევას, რომლებშიც მისაღვამია და შემდგომში ხალხის დიდ მასებს დაიტევს. ასეთი ადგილების დროულ რეზერვირებას უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება და საგარეუბნო ზონის დაგეგმარების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს.


ხანმოკლე დასვენების ზონებისათვის საჭირო ტერიტორიების სიდიდე დამოკიდებულია დასვენებელთა საერთო რაოდენობაზე, რომლის დადგენა უნდა მოხდეს მიასლოებითი პროგნოზით. ხანმოკლე დასვენებისათვის საორიენტაციო ანგარიშით ამჟამად ზაფხულის პერიოდში ქ. თბილისიდან ერთდროულად გადის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 15 — 16%. საზოგადოებრივი და ინდივიდუალური საშუალებების განვითარების, ხანმოკლე დასვენების ადგილების შექმნის, კვირაში ორი დასვენების დღის მოწყობისა და შემდგომში საშუალო დღის შემიკრების შედეგად დასასვენებელთა პროცენტული რაოდენობა მომავალში მკვეთრად გაიზრდება. საგარეუბნო, პირველ რიგში ეს რიცხვი შეიძლება შეადგენდეს 4 — 5%, ხოლო პერსპექტიული პერიოდისათვის კიდევ 10%. ამგვარად, სანგარშირო პერიოდისათვის ხანმოკლე დასასვენებელთა საერთო რაოდენობა შეიძლება შეადგინდეს მოსახლეობის საერთო რაოდენობის 25 — 30%.

ხანმოკლე დასვენების ზონების ტერიტორიული განთავსება მიზანშეწონილია ხლებოდეს თანაბრად, ქალაქის გარშემო. ამიტომ დასვენების უბნოები ზონები ქალაქის ირგვლივ,

მწვანე სარტყელის ფარგლებში უნდა განთავსდეს, რისთვისაც სათანადო ფართის ტყე-პარკების მოწყობა აუცილებელია.

ცნობილია რომ მწვანე სარტყელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის პირის გაჯანსაღებასა და მიკროკლიმატის გაუმჯობესებაში. ამიტომ, ისეთი ქალაქისათვის როგორცაა თბილისი, 5—10 კილომეტრი სივანის მწვანე სარტყელს გათვალისწინება საჭირო. ამის საფუძველზე „თბილქალაქპროექტმა“ შეიმუშავა საგარეუბნო ზონის საზღვრების სქემა, სადაც ქალაქის დამცველი სარტყელის საერთო ფართობი შეადგენს 800 კვ.კმ.

ცხადია, მწვანე სარტყელი არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მთლიანად გამწვანებული ტერიტორია. თუმცა იგი უნდა ქაზობდეს ღია და თავისუფალ სივრცეებს. საჭირო ტყე-პარკების ფართობი, რომელიც ხანმოკლე დასასვენებელი ზონების მოსაწყობადაა საჭირო, დამსვენებელთა საორიენტაციო რაოდენობიდან უნდა დადგინდეს. ასე მაგალითად, შეიძლება



1. დასვენების ზონების განთავსება. 2. სტრანსპორტო ქსელის პრინციპული სქემა.

დასვენებულ იქნეს, რომ ქალაქთან უახლოეს ტყე-პარკებში ერთდროულად ხანმოკლე დასვენება 25—30%, ტყე-პარკების საშუალო ნორმა ერთ დასვენებულზე კი დადგინდეს—ბუნებრივი პირობების მიხედვით არსებულ ტყიან ტერიტორიებზე 1000—12000 კვ. მ., ხოლო ახალი ტერიტორიების გამწვანების დროს 700—900 კვ. მ. ტყე-პარკების განთავსების სისტიმას საფუძველად უნდა დაედოს ქალაქის შიგა

ხანმოკლე დასვენების ძირითადი ადგილების განთავსება (პერსპექტივა)



და საგარეუბნო მწვანე ნარგავების უწყვეტი კავშირი. ამ მხრივ მიზანშეწონილია ვაკის კულტურისა და დასვენების საზონის შეფერადის მწვანე მასივს, რომელიც იქმნება კეს-ტნის გარშემო. ეს უკანასკნელი კი მომავალში უნდა დაეკავშირდეს მიუწინდის ტყე-პარკს და მასთან ერთად შექმნას მწვანე ნარგავთა საერთო სისტემა. მწვანე ნარგავები უწყვეტი უნდა იყოს საბურთალოსა და ლისის ტბას შორის, ლეონის, ოქტომბრის და 26 კომისრების რაიონებსა და თბილისის ზღვის ირვავი ტყე-პარკებს შორის და ა. შ.

თბილისის საგარეუბნო ზონაში შეიძლება ორგანიზებული იყოს ხანმოკლე დასვენების ახლო და შორი ზონები. ახლო ზონებისათვის განუთვნილი ტერიტორიები ქალაქის ცენტრიდან 25—30 კილომეტრია და დაცილებული. იქ მოხდება სტრანსპორტო საშუალებებით შესაძლებელი იქნება 15—20 წუთში, მაშინ როცა შორეული ზონები 25—30 კმ-დან 60—70 კმ-ის ფარგლებში და ტრანსპორტს მისასვლელად 1—1,5 საათზე მეტი არ დასჭირდება.

ხანმოკლე დასვენების ახლო ზონები ძირითადად მწვანე სარტყელში თავსდება, ასე მაგალითად, დასვენების ძირითადი ზონა შეიძლება მოეწყოს თბილისის ზღვის მიდამოებში, სადაც მიზანშეწონილია განთავსდეს დასასვენებელი ბაზები, წყალგამარბობის სადგურები, ერთდღიანი პანსიონატები, კემპინგები, გაშენდეს პლაჟები, პარკები და ტყე-პარკები. უფრო მცირე დასვენების ზონები საჭიროა შექმნას მწვანე სარტყელის სხვა რაიონებშიც—ლისისა და კეს ტბების გარშემო, თელთის ქედზე და თაბორის მაღლობზე, ქალაქის უახლოეს ტყიან რაიონებში, მცხეთასა და მის ახლომდებარე ადგილებში, რომლებიც მოაწინააღმდეგავს კულტურისა და დასვენების პარკთან ერთად შექმნიან მშრომელთა ახლო დასვენების ზონებს.

ეს ზონები, ცხადია, მომავალში ვერ დაიტვიწმენ დასვენებლებს, რის გამოც საჭირო გახდება სხვა რაიონების ათვისება. ამით არის გამოწვეული დასვენების შორი ზონების ორგანიზაცია, ეს ზონები მიზანშეწონილია განთავსდეს სოფლის წყალსაცავის, ბაზალეთისა და ჯანდრის ტბების გარშემო, მომავალში კი, ქინვალის მშენებლობასთან დაკავშირებით, დიდი წყალსაცავის შექმნის შემდეგ აქაც შესაძლებელი იქნება დასვენების ზონის მოწყობა.

შორი დასვენების ზონების ათვისება ერთი მხებდვით შეიძლება არამიზანშეწონილად მოგვეჩვენოს მათა ქალაქთან საკმაოდ მშორებით განთავსების გამო, მაგრამ ქალაქთანმდებლობის პრაქტიკიდან ცნობილია—თუ ადგილი განსაკუთრებით მომხიბვლელია და კეთილმოწყობილი, მისი სისივრის მიუხედავად მოსახლეობა აქტიურად სარგებლობს. ამის კარგი მაგალითია ბალატონის ტბა უნგრეთში. კარგად ორგანიზებული დასვენების ზონა, რომელიც ბუდაპეშტიდან 90 კილომეტრითაა მოცილებული, უნგრეთის დედაქალაქიდან ბევრ დამსვენებელს იზიდავს.

პრატელებისათვის პოპულარულ ადგილს წარმოადგენს მთიანი რაიონი კრკონოშე, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქს 100 კილომეტრითაა დაშორებული და მიუხედავად ამისა შმაბთ-კვირაობით აქ ბევრი დამსვენებელი ჩამოდის. ამერიკის პრაქტიკაშიაც მრავალი მაგალითია, როცა ხანმოკლე დასვენების ადგილები ქალაქიდან 50—150 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

ჩვენს პრაქტიკაშიაც აღინიშნება ასეთი შემთხვევები. მაგალითად საგარეუბნო ზონის დაგეგმარების დროს პერეიესლაველ-ზალესკის და მოსკოვის ზღვის რაიონები მიჩნეულია როგორც პერსპექტიული ტერიტორიები მოსკოველთა დასვენების ორგანიზაციისათვის. ეს რაიონები კი ცნობილია, რომ მოსკოვიდან 80—100 კმ-ზე მდებარეობენ. ჩელოაბისკიდან 60—70 კმ-ის დაცილებით დაგეგმარებული საკმაოდ დიდი

დასვენების ზონა, სადაც გარდა ხანგრძლივი დასვენებისა, გათვალისწინებულია ხანმოკლე დასვენების ზონები (ნადირობა, თევზაობა, ტურისმი).
 გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ხანმოკლე დასვენების ახლო და შორის ზონებისა, დამსვენებელთა დიდ მასას დაიტევს თბილისის საგარეუბნო ზონის ცალკეული რაიონები, რომლებიც კარგი ბუნებრივი, საინტარგულ-ჰიგიენური და ლანდშაფტური პირობებით ხასიათდება. ამიტომ ისინი არ უნდა იყვნენ გამოთიშული ქალაქის დასვენების სისტემიდან.

ტყევი და ტყეპარკები, ცხოველხატული ადგილები, რომლებიც გამოსადგება ტურისტული ლაშქრობისათვის და ექსკურსიისათვის, ეს ის გარემოა, სადაც მიზანშეწონილია მასიური ხანმოკლე დასვენების ორგანიზაცია.

საგარეუბნო ზონის ტერიტორიაზე გადის საკავშირო მნიშვნელობის ტურისტული მარშრუტები. ტურისტებს ემსახურება სათანადო ბაზები, რომლებიც რუსთაბუღის სხვადასხვა რაიონებშია განთავსებული, მათ შორის თბილისში და მცხეთაში. მათი ტევადობა (600 ადგილი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს, რის გამოც ტურისტულ სამართვეულის დასახული აქვს ბაზების შემდგომი მშენებლობა. ასე მაგალითად, შემუშავებული პროექტით საგრძნობლად იზრდება თბილისის ტურისტული ბაზის ტევადობა, რაც მიღწეული იქნება იქვე ახლოს, ახალი კორპუსების მშენებლობით. თბილისის ზღვის მიდამოებში შენდება სასტუმრო ავტოტურისტებისათვის.

ადგილობრივი ტურისმი ამჟამად შედარებით სუსტადაა განვითარებული. სათანადო ბაზების მშენებლობასთან ერთად, შემდგომში დასვენების ეს სახეც მიიღებს მასიურ ხასიათს. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მიმდებარე ტერიტორიები ადგილობრივი ტურისმის განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელია, ბუნებრივი პირობები, წარმტაცია სილამაზე და სახე-




ტურისტული სასტუმროს კომპლექსი თბილისში. პროექტი. გენერალური გეგმა.

1. ავტობი ავტოტურისტი თ. ფანიაშვილი.
2. სასტუმრო.
3. ტურისტული სასტუმროს არსებული კორპუსი
4. სასტუმროს ვრა-ორ სართულიანი სიცხობეზღელი კორპუსები.
5. ეროვნული კვების პავილიონი.
6. სპორტული ზონა.

ტურისტული სასტუმროს კომპლექსის არსებული კორპუსი.

ავტორი ი. კასრაძე, თ. აბაშიძე





სხვაობა ამის საშუალებას იძლევა.

ტურისტული ლაშქრობა და მოგზაურობა თბილისის მიდამოებში შეიძლება ორგანიზებული იყოს როგორც საქვეითო-ახლომდებარე ადგილებში, ისე კომბინირებული — საგარეუბნო ზონის უფრო მოშორებულ რაიონებში, რომელიც ითვალისწინებს საქვეითო და სატრანსპორტო განაღვივებლებას.

ამ სახის დასვენებელთა უფრო მომსახურებისათვის აუცილებელია მარშრუტების ტრასებზე სათანადო ბაზების მშენებლობა. ამ ბაზებში ტურისტებმა უნდა მიიღონ საყვები, სათანადო ინვენტარი, ინსტრუმენტები. ამიტომ მათი განთავსება უნდა ხდებოდეს ტურისტული მარშრუტების სათავე და შუალედურ პუნქტებში.

დასვენების აქტიურ სახეს წარმოადგენს ნადირობა და თევზის ჭერა. ამიტომ, საგარეუბნო ზონის დაგეგმარებისას, სათანადო ტერიტორიების დადგენა უნდა ხდებოდეს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მუხრანობის სამმართველოსთან შეთანხმებით. გამოყოფილ ტერიტორიებზე კი დასვენებელთა მომსახურებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სამონადირეო ბაზების (სასტუმრო — სახლების) მშენებლობა. ასეთი ბაზები უნდა შეიცავდნენ დასასვენებელ ადგილებს, საკმლის დასამზადებელ სათავსოებს, ძაღლების სამყოფელ ჭიხურებს. აქ უნდა ხდებოდეს სამონადირეო ინვენტარის გაქირავება.

ხანმოკლე დასვენების ორგანიზაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიებს, რომლებიც მატერიული კულტურის (არქიტექტურის, ხელოვნების, ისტორიის და არქეოლოგიის) ძეგლებთან არიან დაკავშირებული.

ცნობილია, რომ თბილისის მიმდებარე ტერიტორიებზე (ქალაქებსა და სოფლებში, ტყეებში და მთებზე) მრავალი ცხოვანდა არის შემორჩენილი ზეოლოგიური ძეგლები, ხოლო არქეოლოგიური გათხრებით კი გამოვლენებულია მრავალი საინტერესო ობიექტი, რომლებიც დიდ ინტერესს წარმოადგენს. ამიტომ მათ დაცვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

გარდა სათანადო საინჟინრო სამუშაოებისა, მატერიული კულტურის ძეგლების გარშემო მოხაზუნილია ტერიტორიების კეთილმოწყობა — ავტომანქანების სადგომის გამოყოფა, სასმელი წყლის ორგანიზება, მზისა და წვიმის საწინა-

აღმდგეო საფარებისა და საცდომების მოწყობა და ა. შ. არქიტექტურულ-დაგეგმარებითი ღონისძიებების ჩატარება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ხანმოკლე დასვენების შესაფერი ადგილების შექმნას.


ხანმოკლე დასვენების ზონების სწორი ორგანიზაციისათვის საჭიროა მათი სათანადო ფუნქციური ზონირება. იგი უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის განაწილებას, გამომდინარე იმის ძირითადი დანიშნულებიდან, ეს დამოკიდებულია ტერიტორიის სიდიდეზე, დასვენების სახეობაზე, მის ხანგრძლიობაზე (სეზონურობაზე) და ბუნებრივ პირობებზე. ასე, მაგალითად, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ტერიტორიის ისეთი დაყოფა, სადაც გამოყოფილი იქნება მასიური დასვენების ადგილები, სპორტული და სალაგო ზონები, სახავეო მოედნები. მაგან რეალიზებულად უნდა განთავსდეს წყნარი დასვენების ზონები, სასიერო ტრასები სატრანსპორტო მოძრაობისათვის და ფეხით მოსიარულეთათვის. დასვენებელთა უფრო მომსახურებისათვის სპეციალური დაწესებულების — კაფეების, რესტორნების, გამჭირვებელი პუნქტების განთავსება საჭიროა, რომლებიც აგრეთვე ცალკე ზონაში უნდა იყოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავტოსადგომების მოწყობას. ლამაზი ადგილები შეიძლება დაამარჯნდეს, თუ სათანადოდ არ იქნება ორგანიზებული მანქანების განერება. არარეალიზებული სადგომები დისკომინის იწვევს ლინდსუფტში და ამიტომ საჭიროა ბუნებრივი პირობების გათვალისწინება.

სწორი ფუნქციური დაყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასვენების ისეთ ზონებში, რომლებიც კომლექსურ ხასიათს ატარებენ. მათში გარდა ხანმოკლე დასვენების ადგილებისა, ხანგრძლივი დასვენების დაწესებულებებია გასათვალისწინებელი. ხანმოკლე და ხანგრძლივი დასვენების ზონებისათვის განკუთვნილი ტერიტორია მკვეთრად უნდა იყოს გამოყოფილი ერთმანეთისაგან. მოხაზუნილია დღე-ღინდის ტერიტორიები, განკუთვნილი როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილთა მომსახურებისათვის.

ხანმოკლე დასვენების ზონების ორგანიზაციის დროს ფართოდ უნდა იყოს დაგეგმილი სასტუმრო-პანსიონატების, ტურისტული ბაზების და ე. წ. ერთდღიანი დასასვენებელი სახლების მშენებლობა. აქ შეიძლება დახმარება გაეციოს ავ-

დასაცენებელი
სახლი თბილისის
ზღვზე. პროექტი.



არქიტექტორები
ა. ბაქრაძე და
ნ. ჯობაძე

რთვე პიონერთა ბანაკებმა. მათი გამოყენება შესაძლებელი გახდება პერიოდში, როცა დატვირთული არ იქნებიან ბავშვთა კონტინენტით, ე. ი. ვაზაფხულზე, შემოდგომაზე და ზამთარში. ამით ამაღლება მათი მშენებლობის რენეაბელიზაცია. ზოგიერთი ტურისტული ბაზა ზამთარში (თუ იქნება ამის პირობები) გამოსადეგი გახდება სათიხლამური ბაზად, სადაც სათანადო ინვენტარის გაქირავება უნდა ხდებოდეს.

აქტუალურ და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქალაქა და დასვენების ზონებს შორის კავშირის დამყარება, ჩქარი და შეუფერხებელი მოძრაობით. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით ხანმოკლე დასვენებისათვის.

სატრანსპორტო საკითხების გადაწყვეტა, ჩქარი კავშირის ორგანიზება დასვენების ზონებთან რთულდება იმით, რომ საჭირო ხდება მცირე დროში ხალხს დიდი რაოდენობის ტრანსპორტირება. ამის შედეგად ხდება გზების გადატვირთვა, მათი გამტარუნარიანობის დაქვეითება, საჭირო ხდება ახალი გზების მშენებლობა და არსებულის რეკონსტრუქცია.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სავარეუბნო ზონაში სავტომობილო გზები სავსაობო კარგია და ქალაქსა და დასვენების ზონებს შორის კავშირის ძირითად საშუალებას წარმოადგენს. ზოგიერთ ზონაში მოხერხდა კი შესაძლებელი იქნება

რკინიგზის ტრანსპორტით, რომელიც დამხმარე როლს შეასრულებს. დაკავშირების სისტემაში განსაკუთრებულ როლს სავტომობილო ტრანსპორტი ითამაშებს. მომავალში იგი იქნება სავარეუბნო ტრანსპორტის ძირითადი სახე.

ქალაქის დასვენების ზონებთან კავშირისათვის ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული საბავირო გზები, რომელთა მშენებლობა რენეაბელურია რელიეფის რთულ პირობებში.

